საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თეა ლეონიძე</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიორგი გოგიაშვილი?
დიახ არა

17 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გიორგი გოგიაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურაში მონაწილეობა მიიღო გიორგი გოგიაშვილმა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - გიორგი გოგიაშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 96 ქულა, რაც ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 96%-ს შეადგენს.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის შედეგად მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს გიორგი გოგიაშვილის კანდიდატურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა შეადგინა 1148 ქულა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის

მიხედვით გავიდა პირველ ადგილზე. შესაბამისად, გიორგი გოგიაშვილი, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც, რამაც დამარწმუნა, რომ გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

თეა ლეონიძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი